საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს

2017 წლის 19 სექტემბრის

დადგენილება №2553

ჩარჩოდოკუმენტის საფუძველზე
შემუშავებული მოდიფიცირებული
პროფესიული საგანმანათლებლო
პროგრამის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათის საფუძველზე განხორციელდეს ცვლილებები სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 12 აგვისტოს №2544 დადგენილებით, ავტორიზაციის მიზნით, დამტკიცებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში – „სამრეწველო ავტომატიზაცია“ და დამტკიცდეს მოდიფიცირებული სახით.

დადგენილებას თან ერთვის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათი (იხ. დანართი).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს
2017 წლის 19 სექტემბრის№ 2553 დადგენილების დანართი

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

რექტორს ბატონ არჩილ ფრანგიშვილს

ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანის

ზურაბ წვერაიძის

მოხსენებითი ბარათი

მოგახსენებთ, რომ ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტზე განსახორციელებელ პროგრამაში, რომელიც დამტკიცებულია უნივერსიტეტის 2017 წლის 12 აგვისტოს #2544 დადგენილებით, „სამრეწველო ავტომატიზაცია", განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის პროფესიული პროგრამების ავტორიზაციის ექსპერტების რეკომენდაციების საფუძველზე, განხორციელდა რიგი ცვლილებები, რამაც გამოიწვია მისი მოდიფიცირების აუცილებლობა. კერძოდ, განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

1. პროგრამის თავფურცელის სრულყოფა, დაემატა თარიღი და ქალაქი;
2. პროგრამაში არსებული ყველა პუნქტის მორგება / ადაპტირება საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში არსებულ ფორმასთან, კერძოდ ახლებურად ჩამოყალიბდა პროგრამის მე-12 და მე-13 პუნქტების შინაარსი;
3. მოდულების წინაპირობების გათვალისწინებით სასწავლო გეგმის კორექტირება, კერძოდ „ადამიანი-მანქანა ინტეფეისი" მოდულმა გადაინაცვლა 59-ე კვირაში;
4. მოდულში „ელექტროტექნიკური ნახაზების წაკითხვა" მოხდა ორი სახელმძღვანელოს ჩანაცვლება თანამედროვე სახელმძღვანელოებით, კერძოდ, სახელმძღვანელოები - Е. Ф. Прощин „монтаж кабельных линий", 1961 г. და თ. ტატიშვილი „რადიოსატელევიზიო აპარატურის ნახაზების წაკითხვა", 1987 წ., ჩანაცვლდა შემდეგი სახელმძღვანელობით: ს.ნემსაძე „ელექტრონიკა და ელექტრონიკის საფუძვლები". 2016 წ. და შ. ნემსაძე, მ. ცეცხლაძე „ელექტროტექნიკა და ელექტრონიკის საფუძვლები", 2011 წ.
5. პროგრამის მე-12 პუნქტი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აკადემიურ საბჭოზე დასამტკიცებლად, მითითებული ცვლილებების გათვალისწინებით, წარმოგიდგენთ სამრეწველო ავტომატიზაციის პროგრამის ახალ რედაქციას.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის

დეკანი, პროფესორი ზურაბ წვერაიძე.

18.09.2017.